ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №337

ქ.თბილისი 24 სექტემბერი 2015 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ერთის მხრივ, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა (მდებარე ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.№2 შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „ფრანს“ (მდებარე: ქ.თბილისი ფარავნის ქ.№14, შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „მიმწოდებელი“ ახორციელებს 35 (ოცდათხუთმეტი) ცალი სერთიფიკატის მიწოდებას ხელშეკრულებაზე „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად (კლასიფიკატორის კოდი 22400000).

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 150 (ას ორმოცდაათი) ლარს და 50 თეთრს (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“) დღგ-ს ჩათვლით;

2.2 ერთი ერთეული სიგელის ღირებულება შეადგენს 4 (ოთხი) ლარს და 30 თეთრს.

მუხლი 3. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 საქონლის მიწოდება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ 2015 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით „შემსყიდველის“ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭოროხის ქ.№6.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი წარმომადგენლები მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას;

4.2 „მიმწოდებელმა“ საქონელთან ერთად „შემსყიდველს“ უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები - სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

მუხლი 5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში;

5.2 ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): „მიმწოდებლის“ მიერ საქონლის მიწოდებისა და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში.

მუხლი 6. გარანტია

6.1 „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი შეესაბამება „შემსყიდველის“ მოთხოვნებს;

6.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება მიწოდებული საქონლის ხარისხისა და ვადების შემოწმების გზით;

7.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

7.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებენ „შემსყიდველის“ შემდეგი წარმომადგენლები:

1) ეკონომიკური დეპარტამენტის, სამეურნეო სამმართველოს უფროსი – ვ. ვაშაკიძე;

2) ეკონომიკური დეპარტამენტის, სამეურნეო სამმართველოს უფროსი სპეციალისტი – კ. პეტრიაშვილი.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1 მოთხოვოს „შემსყიდველს“ შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.2.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.3 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.3.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.4 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.4.1 მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.4.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის“ პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

9.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ და „შემსყიდველს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.3 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „მიმწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) „მიმწოდებლის“ გადახდისუუნაროდ ცნობის შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

12.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, –ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

12.3 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 1%-ს.

12.4 იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით.

მუხლი 15. სადავო საკითხების გადაწყვეტა

15.1 „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად (ერთი-„შემსყიდველს“, მეორე-„მიმწოდებელს“), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“:
საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	შპს „ფრანი“
ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.№2	ქ.თბილისი ფარავნის ქ.№14 ტელ: 2745112, 599 51 88 12.
საქართველოს სახელმწიფო ხაზინა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისათვის – 4001 ა/ა №GE24NB0330100200165022 კოდი TRESGE22 საიდენტიფიკაციო კოდი - 203840344	სს „პრივატ ბანკი“ ა/ა №GE21TP0036080020001263 კოდი CAVOGE22 საიდენტიფიკაციო კოდი - 401947293
„შემსყიდველის“ სახელით:	„მიმწოდებლის“ სახელით:
საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	შპს „ფრანის“ დირექტორი
ილია ტარასაშვილი	ნიკოლოზ ფიროსმანიშვილი